
შპს "ელიზი ჯგუფი"

ფინანსური ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა და მმართველობის
ანგარიში

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს “ელიზი ჯგუფი”

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა2-5

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება5

მოგება- ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება6

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება.....7

ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები9-28

მმართველობითი ანგარიში29

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ელიზი ჯგუფი“-ს ხელმძღვანელობას და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს:

არამოდიფიცირებული მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ელიზი ჯგუფი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ამ თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალსა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითს შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვას. (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წავრმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ („IESBA კოდექსი“) და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშში შესულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და მასზე ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვა ინფორმაციას არ მოიცავს და მასზე რაიმე სახის თვალსაზრისს არ გამოვხატავთ.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი მოვალეობაა, გავცნოთ სხვა ინფორმაციას და, იმავედროულად, დავასკვნათ, ხომ არ არის სხვა ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის პროცესში მოპოვებულთან არსებითად შეუსაბამო ან ხომ არ არის ის სხვაგვარად მნიშვნელოვნად არაზუსტი. თუ, ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ აღნიშნული სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, მოგვეთხოვება ამ ფაქტის ანგარიშგება.

აღნიშნულ პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით არა გვაქვს საკითხი, რომლის ანგარიშგებაა საჭირო.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიან წარდგენას.

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

პროცედურები შევასრულეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობით ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

29 სექტემბერი 2021

შპს „აი.ჯი.ეფ“

კახა ჭკუასელი

გარიგების პარტნიორი

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

პროცედურები შევასრულეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობითი ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

29 სექტემბერი 2021



შპს „აი.ჯი.ეფ“

კაბა ჭკუასელი

გარიგების პარტნიორი



შპს „ელიზი ჯგუფი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		1,322	1,048
აქტივის გამოყენების უფლება		737	947
არამატერიალური აქტივები		98	109
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,157	2,104
მოკლევადიანი აქტივები			
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		2,492	2,517
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	7	105,103	90,939
დებიტორული დავალიანება		2,395	350
დეპოზიტები ბანკში	6	50,419	14,651
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	1,236	13,752
სხვა აქტივები		177	414
სულ მოკლევადიანი აქტივები		161,822	122,623
სულ აქტივები		163,979	124,727
საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი		2	2
გაუნაწილებელი მოგება	8	124,101	100,510
სულ საკუთარი კაპიტალი		124,103	100,512
ვალდებულებები			
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება		569	786
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		569	786
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადასახდელი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	9	7,351	9,069
მოკლევადიანი სესხები	10	29,845	11,616
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	10	241	209
გადასახდელი დივიდენდები		21	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,849	2,535
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		39,307	23,429
სულ ვალდებულებები		39,876	24,215
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		163,979	124,727

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2021 წლის 29 სექტემბერს, შპს „ელიზი ჯგუფის“ ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:

თეიმურაზ ნადირაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

კარინა კარაკოზოვა
ფინანსური დირექტორი

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


(ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		1,322	1,048
აქტივის გამოყენების უფლება		737	947
არამატერიალური აქტივები		98	109
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,157	2,104
მოკლევადიანი აქტივები			
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		2,492	2,517
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	7	105,103	90,939
დებიტორული დავალიანება		2,395	350
დეპოზიტები ბანკში	6	50,419	14,651
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	1,236	13,752
სხვა აქტივები		177	414
სულ მოკლევადიანი აქტივები		161,822	122,623
სულ აქტივები		163,979	124,727
საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი		2	2
გაუნაწილებელი მოგება	8	124,101	100,510
სულ საკუთარი კაპიტალი		124,103	100,512
ვალდებულებები			
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება		569	786
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		569	786
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადასახდელი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	9	7,351	9,069
მოკლევადიანი სესხები	10	29,845	11,616
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	10	241	209
გადასახდელი დივიდენდები		21	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,849	2,535
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		39,307	23,429
სულ ვალდებულებები		39,876	24,215
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		163,979	124,727

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2021 წლის 29 სექტემბერს, შპს „ელიზი ჯგუფის“ ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:



თეიმურაზ ნადირაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი



კარინა კარაკოზოვა
ფინანსური დირექტორი

შპს „ელიზი ჯგუფი“

მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	12	283,488	250,477
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(233,985)	(196,295)
საერთო მოგება		49,503	54,182
ადმინისტრაციული, გაყიდვების და სხვა საოპერაციო ხარჯი	14	(28,384)	(33,439)
საპროცენტო შემოსავალი	15	3,808	4,644
საპროცენტო ხარჯი	10	(229)	(147)
წმინდა მოგება უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		8,980	2,338
სხვა შემოსავალი		129	17
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე		33,807	27,595
მოგების გადასახადის ხარჯი		(270)	(12)
წლის წმინდა მოგება		33,537	27,583
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		33,537	27,583

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2021 წლის 29 სექტემბერს, შპს „ელიზი ჯგუფის“ ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:

თეიმურაზ ნადირაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი


კარინა კარაკოზოვა
ფინანსური დირექტორი

შპს „ელიზი ჯგუფი“

მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	12	283,488	250,477
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(233,985)	(196,295)
საერთო მოგება		49,503	54,182
ადმინისტრაციული, გაყიდვების და სხვა საოპერაციო ხარჯი	14	(28,384)	(33,439)
საპროცენტო შემოსავალი	15	3,808	4,644
საპროცენტო ხარჯი	10	(229)	(147)
წმინდა მოგება უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		8,980	2,338
სხვა შემოსავალი		129	17
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე		33,807	27,595
მოგების გადასახადის ხარჯი		(270)	(12)
წლის წმინდა მოგება		33,537	27,583
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		33,537	27,583

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2021 წლის 29 სექტემბერს, შპს „ელიზი ჯგუფის“ ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:



თეიმურაზ ნადირაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი



კარინა კარაკოზოვა
ფინანსური დირექტორი

შპს „ელიზი ჯგუფი“

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	2	85,885	85,887
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		27,583	27,583
გადახდილი დივიდენდები	-	(12,958)	(12,958)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	2	100,510	100,512
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	33,537	33,537
გადახდილი დივიდენდები	-	(9,946)	(9,946)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	2	124,101	124,103

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2021 წლის 29 სექტემბერს, შპს „ელიზი ჯგუფის“ ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:

თეიმურაზ ნადირაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

კარინა კარაკოზოვა
ფინანსური დირექტორი

შპს „ელიზი ჯგუფი“


კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	2	85,885	85,887
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		27,583	27,583
გადახდილი დივიდენდები	-	(12,958)	(12,958)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	2	100,510	100,512
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	33,537	33,537
გადახდილი დივიდენდები	-	(9,946)	(9,946)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	2	124,101	124,103

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2021 წლის 29 სექტემბერს, შპს „ელიზი ჯგუფის“ ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:



თეიმურაზ ნადირაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი



კარინა კარაკოზოვა
ფინანსური დირექტორი

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		33,537	27,583
კორექტირებები:			
მოგების გადასახადის ხარჯი		270	12
ცვეთა და ამორტიზაცია	14	473	439
საპროცენტო შემოსავალი	15	(3,808)	(4,644)
საპროცენტო ხარჯი	10	229	147
სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა	14	933	403
ცვლილება გაუფასურების ანარიცხში	14	-	47
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	13	(8,963)	(2,338)
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:			
ცვლილება მარაგებში		(15,097)	(27,330)
ცვლილება სხვა აქტივებში		237	(309)
ცვლილება დებიტორულ დავალიანებაში		(2,045)	1,171
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(686)	732
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში		(1,963)	(21,770)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		3,117	(25,857)
მიღებული პროცენტები		2,871	4,855
გადახდილი პროცენტები		(113)	(7)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		5,875	(21,009)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(491)	(69)
დეპოზიტის მიღება		30,638	29,110
დეპოზიტის დადება		(60,668)	(14,505)
ძირითადი საშუალებების გასვლა		-	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(30,521)	14,536
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები		(9,925)	(12,958)
გადახდილი საიჯარო ვალდებულება	10	(339)	(325)
მიღებული სესხები	10	40,675	16,032
სესხების დაფარვა	10	(22,443)	(4,420)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		7,968	(1,671)
ნაშთი წლის დასაწყისში	5	13,752	21,736
წმინდა კლება წლის განმავლობაში		(16,678)	(8,144)
სავალუტო კურსის ეფექტი		4,162	160
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	5	1,236	13,752

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2021 წლის 29 სექტემბერს, შპს „ელიზი ჯგუფის“ ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:

თეიმურაზ ნადირაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

კარინა კარაკოზოვა
ფინანსური დირექტორი

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		33,537	27,583
კორექტირებები:			
მოგების გადასახადის ხარჯი		270	12
ცვეთა და ამორტიზაცია	14	473	439
საპროცენტო შემოსავალი	15	(3,808)	(4,644)
საპროცენტო ხარჯი	10	229	147
სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა	14	933	403
ცვლილება გაუფასურების ანარიცხში	14	-	47
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	13	(8,963)	(2,338)
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:			
ცვლილება მარაგებში		(15,097)	(27,330)
ცვლილება სხვა აქტივებში		237	(309)
ცვლილება დებიტორულ დავალიანებაში		(2,045)	1,171
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(686)	732
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში		(1,963)	(21,770)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		3,117	(25,857)
მიღებული პროცენტები		2,871	4,855
გადახდილი პროცენტები		(113)	(7)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		5,875	(21,009)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(491)	(69)
დეპოზიტის მიღება		30,638	29,110
დეპოზიტის დადება		(60,668)	(14,505)
ძირითადი საშუალებების გასვლა		-	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(30,521)	14,536
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები		(9,925)	(12,958)
გადახდილი საიჯარო ვალდებულება	10	(339)	(325)
მიღებული სესხები	10	40,675	16,032
სესხების დაფარვა	10	(22,443)	(4,420)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		7,968	(1,671)
ნაშთი წლის დასაწყისში	5	13,752	21,736
წმინდა კლება წლის განმავლობაში		(16,678)	(8,144)
სავალუტო კურსის ეფექტი		4,162	160
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	5	1,236	13,752

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2021 წლის 29 სექტემბერს, შპს „ელიზი ჯგუფის“ ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:

თეიმურაზ ნადირაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

კარინა კარაკოზოვა
ფინანსური დირექტორი

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „ელიზი ჯგუფი“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც შეიქმნა საქართველოში 1998 წლის 1 სექტემბერს საქართველო კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ შემდეგი საიდენტიფიკაციო ნომრით (204920381). კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მ.თამარაშვილის ქ., I შეს., N19.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა თამბაქოს იმპორტი და დისტრიბუცია. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს 13 საწყობს, 2 სავაჭრო ობიექტს და 1 ადმინისტრაციულ ოფისს.

კომპანიის წილები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განაწილებულია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
ზაურ ელიზბარაშვილი	20%	20%
გია ელიზბარაშვილი	20%	20%
ზურაბ ზურაბიშვილი	20%	20%
თორნიკე ელიზბარაშვილი	20%	20%
ნათია აფხაიძე	10%	10%
თენგიზ აფხაიძე	7%	7%
ბესიკ აფხაიძე	3%	3%
სულ	100%	100%

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა 141 (2019: 183).

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო ინტერპრეტაციების კომიტეტის („ფასიკ“) მიერ გამოყენებული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია საქმიანობას განაგრძობს, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო, რაც გულისხმობს, რომ კომპანია საპროგნოზო მომავალში შეძლებს თავისი აქტივების რეალიზებასა და თავისი ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ მიცემული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას. სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც აქტივის მფლობელი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან ვალდებულების მფლობელი გადაიხდიდა ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების ან/და განმარტების მიზნებისათვის, რეალური ღირებულება განისაზღვრება ამგვარ საფუძველზე. აღნიშნული არ ეხება აქციებზე დაფუძნებული გადახდით განხორციელებულ ტრანზაქციებს, რომლებიც რეგულირდება ფასს 2-ით, იჯარის ტრანზაქციებს, რომლებიც რეგულირდება ბასს 17-ით და იმ შეფასებებს, რომლებიც რეალური ღირებულების გარკვეულ მახასიათებლებს ამჟღავნებს, მაგრამ რეალური ღირებულება

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

არ არის, როგორცაა წმინდა რეალიზებადი ღირებულება (ბასს 2) ან გამოყენებული ღირებულება (ბასს 36).

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად ხილული მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტები მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის ხილული არ არის.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. კომპანიის შეხედულებით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის თითოეული სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს სუბიექტი ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ღირებულებები დამრგვალებულია უახლოეს ათასებამდე ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩათვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება, მოახდინოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს ურთიერთჩათვალოს იგი წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და დაფაროს ვალდებულები. კომპანია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება არ ქვითავს შემოსავლებსა და ხარჯებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაქვითვა მოითხოვება რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, ან კომპანიის ბუღალტრული პოლიტიკით.

შემოსავალი. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება, თუ კმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი.
- კომპანია აღარ ინარჩუნებს მენეჯერული ჩარევის საშუალებას ისეთი ხარისხით, რაც მფლობელობასთანაა დაკავშირებული თუ ეფექტურ კონტროლს გაყიდულ საქონელზე.
- შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ გაზომვა.
- მოსალოდნელია, კომპანიაში ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოდინება.
- შესაძლებელია ტრანზაქციასან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების სარწმუნოდ გაზომვა.

კომპანია თამბაქოს გაყიდვასთან დაკავშირებულ შესრულების ვალდებულებას აღიარებს დროის ერთ მომენტში, რადგან არსებობს შესრულების მხოლოდ ერთი ვალდებულება. შემოსავალი მცირდება საქონლის დაბრუნების, ფასდათმობებისა და მსგავსი შეღავათების შესაბამისად.

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

საპროცენტო შემოსავალი. კომპანიის სხვა ფინანსურ შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან. კომპანია შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

იჯარა - კომპანია შეაფასებს, შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას ან ითვისების წინებს თუ არა იჯარას ხელშეკრულების დადების დროს. კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას ყველა საიჯარო შეთანხმების მიმართ, რომელშიც ის არის დამქირავებელი, გარდა მოკლევადიანი იჯარისა (აღნიშნული განსაზღვრულია, როგორც იჯარა, რომელსაც აქვს 12 თვეზე ნაკლები საიჯარო ვადა) და დაბალი ღირებულების აქტივებისა (მაგალითად, ტაბლეტები და პერსონალური კომპიუტერები, საოფისე ავეჯის მცირე ნივთები და ტელეფონები). ასეთი ტიპის იჯარისთვის კომპანია საიჯარო ხარჯს აღიარებს, როგორც საოპერაციო ხარჯს წრფივი მეთოდის საფუძველზე.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად იზომება იჯარის გადასახადის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც არ არის გადახდილი დაწყების დღეს, მისი დისკონტირება ხდება იჯარაში მითითებული განაკვეთის გამოყენებით. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, კომპანია იყენებს დამატებითი სასესხო საშუალებების მოზიდვის საკუთარ ტარიფს. საიჯარო ვალდებულება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ცალკე ხაზად.

საიჯარო ვალდებულება შემდგომში აღირიცხება საბალანსო ღირებულების გაზრდით, რათა ასახოს იჯარის ვალდებულების პროცენტი (ეფექტური პროცენტის გამოყენებით) და აღირიცხოს ღირებულების შემცირებით, რათა ასახოს განხორციელებული საიჯარო გადახდები. კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას (და შესაბამის კორექტირებას ახდენს შესაბამის აქტივის გამოყენების უფლებასზე), როდესაც:

- შეიცვალა საიჯარო ვადა ან ადგილი აქვს მნიშვნელოვანი მოვლენა ან გარემოებების ცვლილებას, რამაც გამოიწვია შესყიდვის ვარიანტის განხორციელების შეფასების ცვლილება, ამ შემთხვევაში იჯარის ვალდებულების ხელახალი შეფასება ხდება განახლებული საიჯარო გადასახადების დისკონტირებით, განახლებული დისკონტის განაკვეთის გამოყენებით;
- საიჯარო გადასახდელები იცვლება ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების ან გარანტირებული საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი შეცვლის გამო, ამ შემთხვევაში იჯარის ვალდებულება ფასდება განახლებული გადასახდელების მიხედვით და თავდაპირველი დისკონტის განაკვეთის გამოყენებით. (გარდა იმ შემთხვევისა, თუ იჯარის გადახდების ცვლილება განპირობებულია მცურავი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით - ამ შემთხვევაში გამოიყენება განახლებული დისკონტის განაკვეთი).
- შეიცვალა საიჯარო ხელშეკრულება და იჯარის მოდიფიკაცია არ ითვლება ცალკეულ იჯარად, ამ შემთხვევაში საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასება ხდება მოდიფიცირებული იჯარის ვადის საფუძველზე, განახლებული საიჯარო გადასახადებისა და განახლებული დისკონტის განაკვეთის გამოყენებით. ფასდაკლებით, ასევე, ცვლილების თარიღისთვის მოქმედი გადასინჯული ფასდაკლების გამოყენებით.

კომპანიას წარმოდგენილი პერიოდების განმავლობაში არ განუხორციელებია ამგვარი კორექტირება.

აქტივის გამოყენების უფლება მოიცავს შესაბამისი საიჯარო ვალდებულების საწყის შეფასებას, იჯარის გადასახდელებს, რომელიც განხორციელდა დაწყების დღეს ან მის წინ, და ნებისმიერი პირდაპირი ხარჯების შემცირებას. შემდგომში ის ფასდება შემდეგნაირად: ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ხარჯი. როდესაც კომპანიას იჯარით მიღებულ აქტივზე დემონტაჟისა და გატანის ხარჯის გაწევა უწევს, ან ვალდებულია აღადგინოს აქტივი, კომპანიამ უნდა აღიაროს ანარიცხები ბასს 37-ის შესაბამისად. რამდენადაც ეს ხარჯები ეხება აქტივის გამოყენების უფლებას, ხარჯები შედის შესაბამისი აქტივის გამოყენების უფლებაში, თუ ეს არ ეხება წარმოებულ მარაგებს.

აქტივის გამოყენების უფლება ამორტიზირდება ძირითადი აქტივის საიჯარო ვადის და სასიცოცლო ვადას შორის უმცირესის გამოყენებით. თუ მეიჯარე მოიჯარეს გადასცემს ძირითად აქტივს მფლობელობაში ან

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

გამოსყიდვის უფლებით, აქტივი ამორტიზირდება მისი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. ამორტიზაცია იწყება იჯარის დაწყების თარიღიდან.

აქტივის გამოყენების უფლება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ცალკე ხაზად. აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურების შეფასებისთვის კომპანია იყენებს ბასს 36-ს.

პრაქტიკული მიზანშეწონილობით, ფასს 16 საშუალებას აძლევს მოიჯარეს არ გამოყოს არასაიჯარო კომპონენტები, და ამის ნაცვლად ითვალისწინებს იჯარის და დაკავშირებულ არასაიჯარო კომპონენტებს, როგორც ერთობლივ გადასახდელებს. კომპანიამ გამოიყენა ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ არის წარმოდგენილი, როგორც მეიჯარე.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადახდები ხარჯად აღიარდება წრფივ საფუძველზე საიჯარო პერიოდის განმავლობაში. საოპერაციო იჯარის გარიგების მოლაპარაკებისა და გაფორმების პროცესში გაწეული თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები იჯარით აღებული აქტივის საბალანსო ღირებულებას ემატება და იჯარის ვადის განმავლობაში აღიარდება წრფივად.

კომპანია როგორც მეიჯარე

საოპერაციო იჯარის გადახდები ხარჯად აღიარდება წრფივ საფუძველზე საიჯარო პერიოდის განმავლობაში. ეს არ ეხება შემთხვევებს, როდესაც იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სტრუქტურას სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ წარმოადგენს. საოპერაციო იჯარის გამო წარმოშობილი გაუთვალისწინებელი იჯარა აღიარდება როგორც ხარჯი ამ ხარჯის გაწევის პერიოდში.

იმ შემთხვევაში, თუ საოპერაციო იჯარის გასაფორმებლად გათვალისწინებულია შეღავათები, ხდება მათი, როგორც ვალდებულების აღიარება. შეღავათების ჯამური სარგებელი აღიარდება ხარჯად წრფივ საფუძველზე. ეს არ ეხება შემთხვევებს, როდესაც იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სტრუქტურას სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ წარმოადგენს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება საანგარიშგებო თარიღში ხორციელდება ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას გაცვლითი კურსის სხვაობით ასახულია მოცემული პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ გადაფასდება. ქვემოთ მოცემულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრის	2.28	4.02
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის	2.87	3.21

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადები აღირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის სრულად ან არსებითად ამოქმედებული ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს ყველა

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

სუბიექტისთვის, გარკვეული ფინანსური ინსტიტუტების გარდა. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა).

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წელი კომპანიისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც კავშირში არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან. ზემოთ ჩამოთვლილ სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება როგორც „გადასახადები და მოსაკრებლები“. ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზისი კარგავს ეკონომიკურ მნიშვნელობას და ბასს 12 - „მოგების გადასახადი“ სტანდარტით განსაზღვრული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები ახალი კორპორატიული დაბეგვრის მოდელში აღარ მოქმედებს.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთის აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის კლებადი ნაშთის მეთოდით, რადგან იგი ყველაზე მეტად ასახავს აქტივიდან მიღებულ სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენება იწვევს ცვეთის კლებადი თანხების დარიცხვას აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა 5 წელი.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი, (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ყოველწლიურად. საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები. არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება კლებადი ნაშთის მეთოდის საფუძველზე 15% განაკვეთით. კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია განიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, ამ აქტივების გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლების გამოვლენის მიზნით. ასეთი მაჩვენებლის არსებობის შემთხვევაში, აქტივის აღდგენითი ღირებულება ფასდება გაუფასურების მასშტაბების განსაზღვრისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების გენერირების ერთეულის აღდგენით ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება აქტივი. განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, კორპორატიული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების გენერირების ინდივიდუალურ ერთეულებზე, ან ამ ერთეულების უფრო პატარა ჯგუფებზე, რომელთა მართებული განაწილების საფუძველი არსებობს.

აღდგენითი ღირებულება არის რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები და სამომხმარებლო ღირებულებას შორის უმეტესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები დღევანდელ ღირებულებამდე ექვემდებარება დისკონტირებას გადასახადამდე არსებული საპროცენტო განაკვეთით, რომელიც ასახავს არსებული ბაზრის შეფასებას ფულის ღირებულებით დროში და ითვალისწინებს აქტივისათვის დამახასიათებელ რისკებს, რომელთა საფუძველზე მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების კორექტირება არ განხორციელებულა.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

გაუფასურების ზარალის შემდგომში აღდგენის შემთხვევაში, აქტივის (ან ფულის მომტანი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მისი აღდგენითი ღირებულების კორექტირებულ ოდენობამდე იზრდება, მაგრამ ისე, რომ ახალმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რაც დადგინდებოდა, რომ არ მომხდარიყო აქტივზე (ან ფულის მომტან ერთეულზე) გაუფასურების ზარალის აღიარება წინა წლებში. გაუფასურების ზარალის აღდგენა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, არსებული აქტივის გასაყიდი ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა FIFO მეთოდს და მოიცავს შეძენის ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს. კომპანია საქონლის მომწოდებლებისგან იღებს ბონუსებს გაყიდვის დადგენილი ხარისხობრივი ნიშნულების მიღწევისათვის, რაც პირდაპირ აკლდება რეალიზაციის თვითღირებულებას.

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

წინასწარ გადახდილი და გადასახდელი გადასახადები. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღირიცხება ნომინალური ღირებულებით, სავარაუდო ამოუღებელი ღირებულების ოდენობის რეზერვის გამოკლებით. გადასახადები მოგების გადასახადის გარდა აღირიცხება ნომინალური ღირებულებით.

საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ირიცხება საქართველოს საშემოსავლო სამსახურში, ერთ საგადასახადო ანგარიშზე. ანგარიშსწორება ხდება ნეტო საფუძველზე.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები. ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი.

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

კაპიტალი. მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. კომპანიაში დამფუძნებლის შენატანის აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში.

დივიდენდები. დივიდენდები აღიარდება კაპიტალში, როგორც შემცირება მათი გამოცხადების პერიოდში. საანგარიშო დღის შემდეგ გამოცხადებული დივიდენდები განიხილება როგორც შემდგომი მოვლენა და განიმარტება შესაბამისად.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ასახვა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ხდება მაშინ, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით. გარიგების ღირებულება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვას და გამოშვებას (მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა) ემატება, ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების ღირებულება დაუყოვნებლივ აისახება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივები. ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად. იმისათვის, რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

აღიარების თარიღი ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

შემდგომი შეფასება შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სავალო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (სავალო ინსტრუმენტები)
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე
- მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს. სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოიცავს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, დეპოზიტებს ბანკში და სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას.

ფინანსური აქტივების გაუფასურება კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდინებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა). სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად.

შესაბამისად კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსურ ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება კომპანიის ფინანსური ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები, გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება და კონტრაქტორისთვის გადასახდელი დაკავებული თანხები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს, საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით.

შემდგომი შეფასება ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სესხები. მიღებული სესხები წარმოადგენს საკრედიტო ხაზის ფარგლებში მიღებულ სესხებს. თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

აღიარების შეწყვეტა ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3 ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება

კომპანიამ არ გამოიყენა მანამდე მიღებული სხვა სტანდარტები, ცვლილებები ან ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა. გამოყენებული სხვა ახალი და გადასინჯული ფასს-ები, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ, მოცემულია ქვემოთ:

საპროცენტო განაკვეთის ბაზისის ცვლილება ფასს 9 და ფასს 7 სტანდარტების შესწორება - 2019 წლის სექტემბერში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა „საპროცენტო განაკვეთის ბაზისის ცვლილება“ (შესწორება სტანდარტებში ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7). აღნიშნული შესწორებებით შეიცვალა ჰეჯირების აღრიცხვის კონკრეტული მოთხოვნები, რომელთა მიხედვით, დაშვებულია, ზეგავლენის ქვეშ მყოფი ჰეჯის აღრიცხვა გაგრძელდეს განუსაზღვრელობის პერიოდში, სანამ მოქმედი საპროცენტო განაკვეთების მოქმედების ქვეშ მყოფი ჰეჯირებული ერთეულები ან ჰეჯირების ინსტრუმენტები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ბაზისის მიმდინარე რეფორმის შედეგად.

კოვიდ-19-თან დაკავშირებული ქირის შეღავათები შესწორება სტანდარტში ფასს 16 - 2020 წლის მაისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა „კოვიდ-19-თან დაკავშირებული ქირის შეღავათები“ (შესწორება სტანდარტში 16), რომლითაც მოიჯარეებს მიეცა საშუალება, აღრიცხონ კოვიდ-19-ით პირდაპირ გამოწვეული ქირის დათმობა ფასს 16 სტანდარტში შეტანილი პრაქტიკული შეღავათის საშუალებით. ეს უკანასკნელი მოიჯარეს საშუალებას აძლევს, სურვილის შემთხვევაში, არ შეაფასოს, არის თუ არა კოვიდ-19-თან დაკავშირებული ქირის დათმობა იჯარის მოდიფიკაცია. მოიჯარე, რომელიც ამ შეღავათით ისარგებლებს, კოვიდ-19-ით გამოწვეულ ქირის დათმობით მიღებული საიჯარო გადახდის ნებისმიერ ცვლილებას აღრიცხავს ფასს 16 სტანდარტის გამოყენებით, ისე, თითქოს ცვლილება იჯარის მოდიფიკაციას არ წარმოადგენდეს. კომპანიამ გადაწყვიტა, არ გამოიყენოს კოვიდ-19-თან დაკავშირებული ქირის შეღავათების მიდგომა, მან ხელახლა შეაფასა შესწორებული საიჯარო ხელშეკრულებები და დაასკვნა, რომ ისინი მოდიფიკაციას წარმოადგენს.

ფასს სტანდარტების კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებათა შესწორებები - კომპანიამ „ფასს სტანდარტების კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებათა შესწორებებში“ შესული შესწორებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. ეს შესწორებები მოიცავს ზეგავლენის ქვეშ მყოფი სტანდარტების შესწორებას ისე, რომ მათში მითითება მოცემული იყოს ახალ კონცეპტუალურ ჩარჩოზე. თუმცა, მითითებები განახლებული ყველა შესწორებაში არაა. ზოგიერთი შემთხვევაში განახლება მიზნად ისახავს მხოლოდ იმის ჩვენებას, თუ კონცეპტუალური ჩარჩოს რომელ ვარიანტზეა მითითება (2001 წლის სტანდარტების საბჭოს მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის ჩარჩოზე, 2010 წლის სტანდარტების საბჭოს ჩარჩოზე თუ 2018 წლის ახალ, გადამუშავებულ ჩარჩოზე) ან იმის ჩვენებას, რომ სტანდარტში მოცემული განსაზღვრებები არ განახლებულა კონცეპტუალური ჩარჩოს გადამუშავებული ვარიანტის შესაბამისად.

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

შესწორებები ეხება სტანდარტებს ფასს 2, ფასს 3, ფასს 6, ფასს 14, ბასს 1, ბასს 8, ბასს 34, ბასს 37, ბასს 38, ფაისკ 12, ფაისკ 19, ფაისკ 20, ფაისკ 22 და სიკ-32.

შესწორება სტანდარტში ფასს 3 - ბიზნესის განსაზღვრება - კომპანიამ ფასს 3 სტანდარტის შესწორებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. შესწორებები განმარტავს, რომ თუმცა ბიზნესს ჩვეულებრივ ახასიათებს პროდუქტის წარმოება, პროდუქტის არსებობა არ არის აუცილებელი პირობა, რომ საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირებული კომპლექტი ბიზნესად ჩაითვალოს. იმისათვის, რათა აქტივებისა და საქმიანობათა შეძენილი კომპლექტი ბიზნესად ჩაითვალოს, მასში მოცემული უნდა იყოს, სულ მცირე, შემავალი მასალა და არსებითი ხასიათის პროცესი და ეს ორივე მნიშვნელოვნად უნდა აფართოებდეს პირის უნარს, შექმნას პროდუქტი.

შესწორებებით უქმდება იმის შეფასების აუცილებლობა, აქვთ თუ არა ბაზრის მონაწილეებს უნარი, ჩაანაცვლონ არარსებული შემავალი მასალები ან პროცესები და გააგრძელონ პროდუქტის წარმოება. შესწორებებში აგრეთვე მოცემულია დამატებითი მითითებები, რომლებიც პირს ეხმარება იმის დადგენაში, შეიძინა თუ არა არსებითად შინაარსობრივი პროცესი.

შესწორებებით ანგარიშგებაში შემოდის არჩევითი კონცენტრაციის ტესტი, რომელიც გამარტივებული წესით ამოწმებს, არის თუ არა საქმიანობებისა და აქტივების შეძენილი კომპლექტი ბიზნესი. ამ ტესტის მიხედვით, საქმიანობებისა და აქტივების შეძენილი კომპლექტი ბიზნესი არაა, თუ შეძენილი მთლიანი აქტივების არსებითად მთელი სამართლიანი ღირებულება კონცენტრირებულია ერთ ხილულ აქტივში ან მსგავსი აქტივების ერთ ეოდში.

შესწორებები პროსპექტიულად გამოიყენება ყველა იმ ბიზნეს-კომბინაციასა და აქტივების შესყიდვაზე, რომელთა შესყიდვის თარიღია 2020 წლის 1 იანვარი ან მისი შემდგომი თარიღი.

შესწორება სტანდარტებში ბასს 1 და ბასს 8 - არსებობის განსაზღვრება - კომპანიამ ბასს 1 და ბასს 8 სტანდარტებში შესწორებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. შესწორებები უფრო გასაგებს ხდის ბასს 1 სტანდარტში მოცემულ არსებობის განსაზღვრებას და არ ისახავს მიზნად ფასს სტანდარტებში არსებობის ფუნდამენტური პრინციპის შეცვლას. ახალ განსაზღვრებაში შესულია არსებითი ინფორმაციის არაარსებითი ინფორმაციით „მიჩქმალვის“ ცნება.

არსებობის მომხმარებელზე მოქმედი დონე შეიცვალა და „შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს“ ფრაზა ჩანაცვლდა ფრაზით „გონივრულად მოსალოდნელია, ზეგავლენა იქონიოს“.

ბასს 8 სტანდარტში არსებობის განსაზღვრება ჩანაცვლდა ბასს 1 სტანდარტში მოცემული არსებობის განსაზღვრებაზე მითითებით. გარდა ამისა, თანმიმდევრულობის დასაცავად, სტანდარტების საბჭომ აგრეთვე შესწორება შეიტანა სხვა სტანდარტებსა და „კონცეპტუალური ჩარჩოს“ სხვა პარაგრაფებში, რომლებშიც იმთავითვე იყო მოცემული „არსებობის“ განსაზღვრება ან რომლებშიც გამოყენებული იყო ტერმინი „არსებითი“.

ეს შესწორებები არ ეხება კომპანიას, რადგან იგი რისკის ქვეშ მყოფ საბაზისო საპროცენტო განაკვეთებზე ჰეჯირებას არ აღრიცხავს. შესაბამისად, აღნიშნული შესწორებების გამოყენება ზეგავლენას არ ახდენს კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის ბუღალტრულ აღრიცხვაზე.

ამ შესწორებებით აგრეთვე შემოვიდა ფასს 7 სტანდარტით გათვალისწინებული განმარტების ახალი მოთხოვნები, რომლებიც ჰეჯირების ისეთ ურთიერთობებს ეხება, რომლებზეც ვრცელდება ფასს 9 სტანდარტის შესწორებით შემოტანილი გამონაკლისები

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

მოცემული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღისთვის კომპანიას არ იყენებდა ქვემოთ ჩამოთვლილ ახალ და გადასინჯულ სტანდარტებს, რომლებიც გაიცა, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო ძალაში შესული:

- ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები;
- ფასს 10 და ბასს 28 (შესწორებები) - აქტივების შენატანების გაყიდვა ინვესტორსა და მის პარტნიორს ან ერთობლივ საწარმოს შორის;
- შესწორება სტანდარტში ბასს 8 - საარიცხოვო შეფასებების განსაზღვრა
- შესწორება სტანდარტში ბასს 1 და განცხადება 2 ფასს პრაქტიკის შესახებ - საარიცხოვო პოლიტიკების განმარტება
- განცხადება 2 ფასს პრაქტიკის შესახებ
- შესწორება სტანდარტში ფასს 3 - მითითება კონცეპტუალურ ჩარჩოზე
- შესწორება სტანდარტში ბასს 16 - ძირითადი საშუალებები - დაგეგმილ გამოყენებამდე მიღებული შემოსავალი
- შესწორება სტანდარტში ბასს 37 - მიმღე კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯი
- შესწორება სტანდარტში ბასს 8 - საბუღალტრო შეფასებების განსაზღვრება
- შესწორება სტანდარტებში ბასს 11 და ფასს პრაქტიკის განცხადება 2 - საბუღალტრო პოლიტიკების განმარტება
- წლიური შესწორებები - ფასს სტანდარტების 2018-2020 წლების ციკლი - შესწორებები სტანდარტში ფასს 1 - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება, ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, ფასს 16 - იჯარა და ბასს 41 - სოფლის მეურნეობა

კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ ზემოთ აღნიშნული სტანდარტების დანერგვა არ იქონიებს არსებით გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4 კრიტიკული შეფასებები და შეფასებების განუსაზღვრელობის უმთავრესი წყაროები

კომპანიის საარიცხოვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #3, ხელმძღვანელობას ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს. შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. საარიცხოვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

შეფასებათა განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

ქვემოთ ჩამოთვლილია მომავალთან დაკავშირებული ის ძირითადი დაშვებები და შეფასებათა განუსაზღვრელობის სხვა ძირითადი წყაროები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლებსაც პოტენციურად შეუძლია აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების მნიშვნელოვანი კორექტირების გამოწვევა მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების ვადა

ძირითადი საშუალების ერთეულის სასარგებლო მოხმარების ვადა დგინდება ხელმძღვანელობის შეფასებით და ეფუძნება მსგავს აქტივებზე არსებულ გამოცდილებას. მხედველობაში მიიღება მოსალოდნელი გამოყენების ფორმა, მოსალოდნელი ტექნიკური დაძველება, ფიზიკური ცვეთა და ოპერირების ფიზიკური გარემო. ნებისმიერი ამ პირობის ან შეფასების ცვლილებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს კორექტირებები გაუფასურების სამომავლო მაჩვენებლებში.

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება

კომპანია, კლიენტების გადახდისუნარიანობით გამოწვეული სავაჭრო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდიფიცირება. 2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებმა შეადგინა 2,395 ათასი და 305 ათასი ლარი, შესაბამისად.

5 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2020	31.12.2019
ნაღდი ფული საღაროში	13	43
მიმდინარე ანგარიშები რეზიდენტ ბანკში	1,223	13,709
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,236	13,752

31 დეკემბრის მდგომარეობით ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაშთებს საბანკო ანგარიშებზე 1,223 (2019: 13,709) ლარის ოდენობით, რომელსაც ერიცხება პროცენტი ბანკთან შეთანხმებული განაკვეთების შესაბამისად.

მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული ნაშთები არ არის ვადაგადაცილებული და მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, მათზე არ არის აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ნაშთები განთავსებულია ბანკებში, რომელთა უმეტესი ნაწილიც Fitch Ratings- ის მიერ შეფასებულია, როგორც B (მოკლევადიანი რეიტინგი), BB- (გრძელვადიანი რეიტინგი).

6 დეპოზიტები ბანკში

	31.12.2020	31.12.2019
დეპოზიტები ბანკში	49,149	14,339
დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტი	1,270	312
სულ დეპოზიტები ბანკში	50,419	14,651

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვადიანი ანაზრები განთავსებულია 2 სს „ქართუ ბანკსა“ და სს „ვითიბი ბანკში“ და ერიცხება 4%-იანი წლიური სარგებელი. ვადიანი ანაზრების დახურვის ვადაა 2021 წლის 15 ივლისი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვადიანი ანაზარი განთავსებულია სს „ქართუ ბანკში“ და ერიცხება 5%-იანი წლიური სარგებელი. ვადიანი ანაზრის დახურვის ვადაა 2020 წლის 19 ივლისი.

7 სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31.12.2020	31.12.2019
საქონელი	101,165	89,041
აქციური მარკები	3,938	1,898
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	105,103	90,939

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

8 გაუნაწილებელი მოგება

2020 და 2019 წელს კომპანიის მფლობელებზე გაიცა დივიდენდები 10,170 ათასი ლარისა და 12,958 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

9 გადასახდელი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა

	31.12.2020	31.12.2019
აქციზის გადასახადი	(34,218)	(29,899)
გადახდილი დღგ	27,676	21,389
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(831)	(580)
სხვა საგადასახადო აქტივები	22	21
სულ საგადასახადო ვალდებულებები	(7,351)	(9,069)

2015 წლის 7 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რომლის მიხედვით ყველა საგადასახადო გადასახდელი უნდა აღირიცხოს ერთიან საგადასახადო ანგარიშზე. შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი, მოგების გადასახადის აქტივის გარდა, წარმოდგენილია ნეტო საფუძველზე.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არის "ოქროს სიის" მონაწილე, შესაბამისად სარგებლობს გამარტივებული საბაჟო პროცედურებით და იმპორტის გადასახდელების გადახდის განსხვავებული ვადით.

10 მოკლევადიანი სესხები

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრისათვის სესხები შემდეგი სახით იქნა წარმოდგენილი:

	ვალუტა	საპროცენტო გაკვეთი	დაფარვის ვადა	31.12.2020	31.12.2019
სს ვი-თი-ბი ბანკი	ლარი	11,50%	11-თებ-21	20,545	-
სს თიბისი ბანკი	ლარი	11,50%	9-თებ-21	9,300	-
სს ვი-თი-ბი ბანკი	ლარი	10%	8-თებ-20	-	11,616
სულ მოკლევადიანი სესხები				29,845	11,616

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში სესხისა და საიჯარო ვალდებულების მოძრაობა შემდეგი იყო:

31 დეკემბერი 2020	ბალანსი წლის დასაწყისში	ახალი კონტრაქტები	დარიცხული პროცენტი	გადახდები	გაუქმებული კონტრაქტები	31.12.2019
მოკლევადიანი სესხები	11,616	40,675	110	(22,556)	-	29,845
საიჯარო ვალდებულებები	995	129	119	(339)	(94)	810

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

31 დეკემბერი 2019	ბალანსი წლის დასაწყისში	ახალი კონტრაქტები	დარიცხული პროცენტი	გადახდები	გაუქმებული კონტრაქტები	31.12.2019
მოკლევადიანი სესხები	-	16,032	11	(4,427)	-	11,616
საიჯარო ვალდებულებები	1,184		136	(325)	-	995

აღებული სესხების მოძრაობა დაკავშირებულია ბანკებთან გაფორმებული საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებების მიხედვით მოკლე ვადით აღებულ და გადახდილ თანხებთან, რომელთა მიზანი კომპანიის საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებაა.

11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2020	31.12.2019
მარკეტინგული მომსახურების გადასახდელები	1,689	2,355
სავაჭრო ვალდებულებები	15	15
სხვა ვალდებულებები	145	165
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,849	2,535

12 შემოსავალი

	2020	2019
შემოსავლები ბორტიდან რეალიზაციაზე	256,059	225,477
შემოსავალი საქონლისა და მზა პროდუქციის რეალიზაციიდან	27,429	25,000
სულ შემოსავალი	283,488	250,477

2020 და 2019 წლის განმავლობაში კომპანიის მთლიანი შემოსავალი შედგებოდა თამბაქოს რეალიზაციიდან გამომდინარე თანხებიდან.

13 რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

	2020	2019
ბორტიდან რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	210,190	176,354
საქონლისა და მზა პროდუქციის რეალიზაციის თვითღირებულება	23,795	19,941
სულ რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	233,985	212,981

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

14 ადმინისტრაციული, გაყიდვების და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2020	2019
მარკეტინგის მომსახურება	22,943	28,939
შრომის ანაზღაურება	2,873	2,913
ცვეთა და ამორტიზაცია	473	439
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა	933	403
მარკეტინგის გაგზავნის ხარჯი	137	187
მანქანის რემონტის და საწვავის ხარჯი	79	75
აუდიტის ხარჯი	50	50
საექვო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	-	47
იჯარის ხარჯი *	0	36
ჩამოწერილი აქციზური მარკები	-	-
სხვა ხარჯები	896	350
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	28,384	33,439

*2019 წლის იჯარის ხარჯი მოიცავს მოკლევადიან იჯარებთან და დაბალი ღირებულების მქონე აქტივებთან დაკავშირებულ იჯარის ხარჯებს.

15 საპროცენტო შემოსავალი

2020 წლის 31 დეკემბრითა და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ აღიარებული საპროცენტო შემოსავალი შედგება მიმდინარე საბანკო ანგარიშებსა და დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტებისაგან:

	2020	2019
საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	1,925	3,611
საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებზე	1,883	1,033
სულ ფინანსური აქტივები	3,808	4,644

2020 და 2019 წლების განმავლობაში საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საშუალო შეწონილი სარგებელი შეადგენს 4,4%-სა და 5%-ს შესაბამისად.

2020 და 2019 წლების განმავლობაში მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხული საშუალო შეწონილი სარგებელი შეადგენს 1.5%-სა და 9,9%-ს, შესაბამისად.

16 ფინანსური რისკების მართვა

საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით შეიძლება იდგეს სხვადასხვა რისკების წინაშე. რისკის უმთავრესი სახეებია: საკრედიტო რისკი, საპროცენტი განაკვეთის რისკი, სავალუტო რისკი, ლიკვიდურობის რისკი,.

კომპანიის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

ფინანსური აქტივები	31.12.2020	31.12.2019
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,236	13,752
დეპოზიტები ბანკში	50,419	14,651
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,395	350
სულ ფინანსური აქტივები	54,050	28,753

ფინანსური ვალდებულებები	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,849	2,535
საიჯარო ვალდებულება	810	995
სესხები	29,845	11,616
სულ ფინანსური ვალდებულებები	32,504	15,146

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან.

გაუფასურების აღსარიცხად კომპანია იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განგრძობითად კონტროლირებადია კომპანიის მიერ.
- თუ საწყისი აღიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში, მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად.
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია, მაშინ ის გადადის III დონეში.
- I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წილი მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III დონისთვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს.

I დონე	II დონე	III დონე
(საწყისი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)
12-თვით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანია ფინანსური ანგარიშგების ყველა ფინანსურ აქტივს, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, ასახავს I დონეში როგორც 2020, ასევე 2019 წლის ბოლოს.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე. კომპანიას აქვს 5 ვადაგადაცილების. დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე.

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცხრილი ვადაგადაცილებისა და პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ.

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	>360
ვადაგადაცილების პროცენტულობა	0.5%	2%	5%	25%	50%	100%

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის ის რისკი, რომელიც მცურავი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებისას უარყოფითად მოქმედებს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკის ზემოქმედება შეზღუდულია, რადგან კომპანიას თანხები ნასესხები აქვს მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებით. (იხ. შენიშვნა 10).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ შესაძლოა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფითი ზემოქმედება გამოიწვიოს იმ კურსის ცვლილებამ, რომელსაც კომპანია ექვემდებარება. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ოპერაციებს. კომპანია არ იყენებს რომელიმე წარმოებულს უცხოური ვალუტის რისკის ზემოქმედების მართვისთვის.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში აღრიცხული ფინანსური აქტივები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე ნაჩვენებია მათი მგრძნობიარობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდების ბოლოს:

ფინანსური აქტივები უცხოურ ვალუტაში	31.12.2020	31.12.2019
ფული და ფულის ეკვივალენტები	936	265
დეპოზიტები ბანკში	50,419	14,651
ფინანსური ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	2,340
წმინდა პოზიცია	51,342	12,311

ზემოთ მოყვანილი ანალიზი მოიცავს მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს. არ არსებობს სავალუტო რისკის არსებობის შესაძლებლობა არაფულად აქტივებში.

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მოგების ან ზარალისა მგრძნობელობას სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადების მუდმივობის პირობებში:

31 დეკემბერი 2020	ზეგავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 20%-თ გამყარება	10,268
აშშ დოლარის 20%-თ გაუფასურება	(10,268)
31 დეკემბერი 2019	ზეგავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 20%-თ გამყარება	2,462
აშშ დოლარის 20%-თ გაუფასურება	(2,462)

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებული ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 31 დეკემბრისთვის 2020 და 2019 წლებში მოცემულია ქვემოთ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდურობის ბალანსი.

	1 წელზე >	1 წლიდან 5 წლამდე	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	1,236	-	1,236
დეპოზიტები ბანკში	50,419	-	50,419
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,395	-	2,395
აქტივები	54,050	-	54,050
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,849	-	1,849
საიჯარო ვალდებულება	241	569	810
სესხები	29,845	-	29,845
ვალდებულებები	31,935	569	32,504
ბალანსი	22,115	(569)	21,546

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდურობის ბალანსი.

	1 წელზე >	1 წლიდან 5 წლამდე	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	13,752	-	13,752
დეპოზიტები ბანკში	312	14,339	14,651
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	350	-	350
აქტივები	14,414	14,339	28,753
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,535	-	2,535
საიჯარო ვალდებულება	209	786	995
სესხები	11,616	-	11,616
ვალდებულებები	14,360	786	15,146
ბალანსი	54	13,553	13,607

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

სამართლიანი ღირებულება

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან საბალანსო უწყისის გამოშვების თარიღისთვის მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო. ყველა ის ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებაც შეფასებული ან გაცხადებულია, იერარქიულად მესამე დონეს არის მიკუთვნებული.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ საქართველოში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების გამო.

17 პირობითი ვალდებულებები

სასამართლო წარმოება

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვანი სასამართლო განხილვის პროცესში. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ადგილი არ ექნება რაიმე არსებითი დაუფარავი ზარალის წარმოშობას და, შესაბამისად, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში არ იქნება გათვალისწინებული რაიმე რეზერვი.

გადასახადები

მოქმედი საგადასახადო რეგულაციები ხშირად იცვლება და ბევრი პრეცედენტი არ არსებობს. ამის გამო საგადასახადო რისკები საქართველოში შეიძლება გაცილებით მაღალი იყოს, ვიდრე უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემის მქონე ქვეყნებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია არსებითად აკმაყოფილებს იმ საგადასახადო კანონებს, რომლებიც მის საქმიანობას ეხება. ამის მიუხედავად, მაინც არსებობს იმის რისკი, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ამა თუ იმ კანონის სხვაგვარი ინტერპრეტაცია მოახდინონ.

20 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ტრანზაქციები:	2020	2019
საიჯარო ვალდებულება	620	785

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ, ხელფასისა და სხვა სარგებლის სახით 2020 წლის შეადგინა 125 ათასი ლარი (2019: 127 ათასი ლარი).

21 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდგომ

2020 წლის 31 დეკემბრის შემდგომ და ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე კომპანიამ გამოაცხადა და გასცა 5,749 ათასი ლარის დივიდენდები.



შპს „ელიზი ჯგუფი“

მმართველობის ანგარიშგება

31 დეკემბერი 2020



სარჩევი

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
2. კომპანიის განვითარების გეგმები
3. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ
4. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
5. კომპანიის რისკების მიმოხილვა და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ
6. ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.



კომპანიის განვითარების გეგმები

შპს „ელიზი ჯგუფი“ (შემდგომში „კომპანია“) არის 1998 წლის 1 სექტემბერს საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მ.თამარაშვილის ქ., I შეს., N19.

კომპანიის შექმნის ძირითადი მიზანია დამფუძნებელთა და თავის მუშაკთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, საქართველოს მოსახლეობისა და იურიდიული პირების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება სხვადასხვა სახის საქონელზე და მომსახურებაზე და ამ საქმიანობით მოგების მიღება.

კომპანიის საქმიანობის სფეროა თამბაქოს ნაწარმის იმპორტი და დისტრიბუცია საქართველოს ტერიტორიაზე.

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვას

კომპანიას 2020 წელს არ უწარმოებია რაიმე ტიპის კვლევა, გარდა სიგარეტის ბაზარზე არსებული სიტუაციის ანალიზისა.

ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანია შედგება ცენტრალური და რეგიონული ფილიალებისგან (საწყობები). 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს 13 საწყობს და 1 ადმინისტრაციულ ოფისს თბილისში.

ცენტრალური ფილიალები (საწყობები): თბილისი; ბათუმი;

რეგიონული ფილიალები (საწყობები): თბილისი; ქუთაისი; ბათუმი; გორი; ხაშური; ბორჯომი; ახალციხე; რუსთავი; ზუგდიდი; ფოთი; გურჯაანი;



კომპანია ახორციელებს თამბაქოს ნაწარმის იმპორტს სხვადასხვა ქვეყნებიდან და დისტრიბუციას საქართველოს ყველა რეგიონში. დისტრიბუცია ხორციელდება კომპანიის მიერ დაქირავებული თანამშრომლების მიერ, კომპანიის კუთვნილი ავტომანქანების (ბორტების) მეშვეობით. დისტრიბუცია ხორციელდება ტერიტორიული პრინციპის შესაბამისად. *(თითოეულ ბორტს განსაზღვრული აქვს კონკრეტული სამოქმედო ტერიტორია და შესაბამისი სავაჭრო წერტილები).* საქმიანობის სრულყოფილად მართვისა და კონტროლის მიზნით, კომპანიაში დანერგილია დისტრიბუციის სპეციალური ელექტრონული პროგრამა „APEX”.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანია მარკეტინგულ საქმიანობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით ახორციელებს პარტნიორ კომპანია ჯაპან ტობაკო ინტერნეიშენელის მეშვეობით. კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა 141 (2019 – 183), რომელთა მეშვეობით 42 ავტომანქანა ემსახურება საქართველოს ყველა რეგიონს. კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპებზე. კომპანიის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება, რომელიც წარმართავს კომპანიის საქმიანობას. კომპანიის სამეურნეო საქმიანობის წარმართვისათვის პარტნიორთა კრება ირჩევს დირექტორს (დირექტორებს), რომლებსაც ეკისრებათ კომპანიის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა, წარმოადგენენ კომპანიის ინტერესებს ყველა ორგანიზაციისა და უწყების წინაშე, აგრეთვე ორგანიზებას უწევენ კრების გადაწყვეტილებების შესრულებას და წყვეტს კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე ყველა საკითხს. დირექტორი უფლებამოსილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაამტკიცოს კომპანიის ნორმატიული დოკუმენტები და საშტატო განრიგი, მიიღოს და გაანთავისუფლოს სამუშაოდან თანამშრომლები, წახალისოს ან დასაჯოს ისინი კომპანიაში არსებული შინაგანაწესის შესაბამისად.

კომპანიის შინაგანაწესის მიზანია შპს „ელიზი ჯგუფი“-ს დებულების შესაბამისად განსაზღვროს სამსახურის ფუნქციონირების განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, დასაქმებულის სამართლებრივი მდგომარეობა, მისი უფლებები და მასზე დაკისრებული მოვალეობები.

კომპანიის 141 თანამშრომლიდან 129 მამაკაცია და 12 ქალი. კომპანიაში დაცულია გენდერული თანასწორობის პრინციპები. თანამშრომლები არიან დაზღვეულები და მუდმივად ხდება მათი მატერიალური და სოციალური უფლებების დაცვა.

კომპანიაში დიდი ყურადღება ექცევა ფინანსური დარღვევების გამოვლინებას, გამოვლენილია რამოდენიმე ასეთი დარღვევა-დანაშაული და საქმეები გადაცემულია ფინანსურ პოლიციაში. დანაშაულის პრევენციის მიზნით მაქსიმალურად არის გამარტივებული და ხელმისაწვდომი საბანკო მომსახურება იმ თანამშრომელთათვის, რომელთაც ხელი მიუწვდებათ ფინანსებზე და კომპანიის კუთვნილი თანხების ჩარიცხვაზე.



კომპანია მუდმივად აახლებს თავის ავტოპარკს, რაც საშუალებას აძლევს დისტრიბუციაში დასაქმებული თანამშრომლებისათვის კომფორტული გარემოს შექმნას. სახელმწიფოს მხრიდან თამბაქოს ნაწარმზე კანონების გამკაცრება და აქციზების ფასების პერიოდული ზრდა შესაბამისად იწვევს გასაყიდი პროდუქციის ღირებულების ზრდასაც, რაც ნეგატიურად აისახება კომპანიის ფინანსურ შემოსავლებზე. ამიტომ კომპანიის ხელმძღვანელობა პერიოდულად მოწვეულ სპეციალიტებთან ერთად ატარებს თანამშრომელთა გადამზადებასა და ტრენინგებს ახალ რეალობასთან ადაპტირებისათვის და დისტრიბუციის პროცესის სრულყოფისათვის.

კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი; • საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ დგას საკრედიტო რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ხელმძღვანელობის პოზიციით, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად. ლიკვიდურობის ცხრილი 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შეიშენებში (N16).

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.



სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკუთრივ სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის განფენილობა საკუთრივ სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს. ანალიზი სავალუტო რისკების შესახებ 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შეიშენებში (N16).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით. ანალიზი საპროცენტო განაკვეთის რისკების შესახებ 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შეიშენებში (N16).

ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

დირექტორი

ფინანსური ჯგუფის მენეჯერი

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს. ანალიზი სავალუტო რისკების შესახებ 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შეიშენებში (N16).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით. ანალიზი საპროცენტო განაკვეთის რისკების შესახებ 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შეიშენებში (N16).

ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

დირექტორი



ფინანსური ჯგუფის მენეჯერი

